№ 264 დეკემბერი 5, პარასკევი 1886 დეკემბერი 5, პარასკევი № 264

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 4 დეკემბერი

„სხვათა ვაჭრობათა შორის ვაჭრობა პურისა ყველაზე ძნელიაო, ამბობს საქვეყნოდ განთქმული გერმანიელი ეკონომისტი როშერი: და ამიტომაც პურის ვაჭრობა ყველაზედ გვიან მიაღწევს ხოლმე თვის სისრულემდეო". მართლადაც ძალიან მძიმე და ძნელი რამ არის და დიდს მომზადებასაც ჰთხოულობს, ვიდრე პირველად ფეხს აიდგამს.

უპირველესი და უმთავრესი საგანი, რომელიც პურის ვაჭრობის დაწყებამდე უსათუოდ უნდა გამორკვეული იყოს, ის არის, რომ უნდა ვიცოდეთ: გვაქვს ჩვენ გარედ გასატანი პური, თუ არა. ზოგი ერთი ამ ნაირს კითხვას მეტის-მეტ გამოკიდებად ჩამოგვართმევს და უსაფუძვლობასაც დაგვწამებს, ამიტომ-რომ იტყვის: რომ არა გვქონდეს, ხომ არც გავყიდითო, ამას რაღა კითხვა უნდაო.

გაყიდვა, პურის შინიდამ გარედ გატანა, რა თქმა უნდა, ქონა ზედ არის დამოკიდებული, მაგრამ ქონაც არის და ქონაცა. ყოველი ქონა საგანს სავაჭრო, საბაზრო საქონლად არა ჰხდის. ქონა ნამეტანისა, ესე იგი, ქონა იმისი, რაც შინაურს საჭიროებას გადარჩენია, არის ერთად-ერთი საფუძველი ჯან-მრთელიანის აღებ-მიცემობისა და ვაჭრობისა. თუ აღებ-მიცემობა, ვაჭრობა ამ ნამეტანობისაგან არ არის გამოწვეული, მაშინ ერთიცა და მეორეც სიმდიდრის წყაროდ კი აღარ იქმნება, არამედ მიზეზად ერის გაღარიბებისა, რადგანაც მაშინ შინ სახმარსაც გარედა ჰზიდავს და დიდი ხანია ნათქვამი, შინ რომ ბაღლები გიტიროდნენ, ტაბლას გარედ რა უნდაო. ხოლო ესეც კი ნათქვამია, გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. გაჭირებამ ბევრი რამ იცის: ხშირად ცალკე კაცსა, როგორც მთელს ერსაც იქამდე მიიყვანს ხოლმე, რომ სწორედ შინიდამ გარედ ტაბლას გაატანინებს, როცა შინ ბაღლები უტირიან. როცა მიწის-მომქმედს გლეხს, თუ თავადს ხელ-მოსაცვლელი ფული უჭირს მრავალგვარის საჭიროების გასაძღოლად —იგი იძულებულია იშოვოს სადმე ფული. კარგია თუ საკრედიტო საქმე ისეა მოწყობილი, რომ კაცმა ხელი გაიმართოს. მაშინ გაჭირებული კრედიტს მიჰმართავს. მაგრამ ხშირად ესეც არ არის. მაშინ გაჭირებული იძულებულია მივარდეს თავის ორმოს, საცა წლის სარჩოდ პური აქვს დაბინავებული და თუმცა იგი პური ძლივს გასწვდება მეორე მოსავლამდე, მაგრამ მაინც იღებს და ჰყიდის. აქაც იგივ სესხი და ვალია იმ განსხვავებით კი, რომ აქ მეტის-მეტად დიდს სარგებელს იხდის: ჰყიდის გაჭირების გამო იეფად და მერე ისევ ჰყიდულობს, მაგრამ ძვირად კი. ნასყიდის ფასისაგან რომ გაყიდულის ფასი გამოხვიდეთ, ნაშთი წარმოგიდგენთ იმ სარგებლის სიდიდეს, რაც ამ შემთხვევაში გაჭირებული კაცი იხდის იმ ფულში, რომელსაც ამ გზით სესხულობს ხელის მოსაცვლელად. რომ საშინაოდ საჭირო პურის გაყიდვას ძირი გამოუთხაროთ და ჯეროვანად ძარღვი გაუსინჯოთ, დაინახავთ, რომ იგი გაყიდვა სხვა არა არის-რა, თუ არ იგივე ვალად ნასესხი ფული, მხოლოდ ამ შემთხვევაში გირაოდ თითქო პურია მიცემული. იმიტომ-რომ იგივე პური, რაც ამ გზით გაჭირებულს გაუცია, უნდა წლის განმავალობაში უსათუოდ ისევ უკან დაიბრუნოს, თუ შიმშილით სულის ამოხდომა არა ჰსურს და ამ დაბრუნებაში იმოდენა სარგებელი უნდა გადიხადოს, რაც ძვირად ნაყიდისაგან იეფად გაყიდულის გამოთვლა ნაშთს დააყენებს. ხშირად ეს ნაშთი თვითონ თავნს უსწორდება, ასზედ ასი მოდის. ხშირად პურსა ჰყიდიან ფუთს ორ აბაზად, ცხრა შაურად და მერე გაზაფხულზე ჰყიდულობენ ოთხ აბაზად, ოთხ აბაზ უზალთუნად. ჩვენ თვითონ ვიცით, სხვათა შორის, კახეთში ერთი ქვრივი დედაკაცი, რომელიც შემოდგომაზედ ჰყიდულობს პურს და გაზაფხულზედ იმავე გლეხებზედ ჰყიდის ერთი-ორად, ერთი-სამად.

ამ გვარი მაგალითები არის ჩვენში, მაგრამ, თქმა არ უნდა, რომ მარტო მაგ მაგალითებისაგან კაცი ვერ გამოიყვანს ჯეროვანს და უტყუარს დასკვნასა იმის შესახებ თუ,—აწ დაძრული და დაწყებული ჩვენში ვაჭრობა პურისა პურის ნამეტნაობისაგან არის გამოწვეული, თუ გაჭირებისაგან, ფულის უღონობისაგან? ეს მაგალითი ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ პურის ბაზარში გამოტანა ყოველთვის იმისი ნიშანი არ არის, რომ პური ნამეტანი აქვს გამომტანსა. ამიტომაც ზოგჯერ პურის გატანას ერთის ქვეყნიდამ მეორეში სიმდიდრე კი არ მოსდევს, არამედ ისა, რომ თვითონ მკვიდრს შინ ლუკმა უწყდება. სწორედ ამ ნაირი ამბავია შემჩნეული შუა რუსეთში, რომელიც დიდი ხანია პურით აღებ-მიცემობს და ამიტომაც მისი მაგალითი ჭკვად მისაღები უნდა იყოს ჩვენთვისაც. შემჩნეულია, რომ იქ გლეხობა პურის ვაჭრობაში უანგარიშოდ იქცევა: ხშირად და ძალიან ხშირადაც იგი ჰყიდის წლის სარჩოსათვის გადადებულ პურსაც მრავალ გვარ საჭიროების გასაძღოლად. ერთი ეკონომისტი-კრიტიკოსი «Сѣверный Вѣстникъ»-ისა*) ამბობს ამ საგანზედ: „ჩვენ დავუწყეთ გადატანა არამც თუ იმასა, რაც ნამეტანია, არამედ ჩვენთვისაც ძლიერ საჭიროსა. ჩვენ იქნობამდე მივედით, რომ საქვეყნო ბაზრები ავავსეთ პურითა მაშინ, როცა ჩვენ თვითონ გვშიოდაო."

აი ყოველ ამის გამო მინამ ამ ჩვენს ახლად დაწყებულ პურის ვაჭრობაზედ და მის ავ-კარგიანობაზედ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროა სწორედ და უტყუარად ვიცოდეთ: მართლა კი გვაქვს პური რომ ვყიდით და შინიდამ გარედ გაგვაქვს? არა გვგონია მას შემდეგ, რაც ზემოდა ვსთქვით, გვიწყინოს ვინმე ამ კითხვისათვის და ისე ადვილად სიტყვა შემოგვიბრუნოს, რომ „თუ არა გვქონდეს, არც გავყიდდითო". ხოლო საიდამ და როგორ უნდა გვეცოდინოს ამ მხრით ეს პურის ვაჭრობის საქმე,—ამაზედ შემდეგს ნომერში მოვილაპარაკებთ.

ა. ფ ი

---

*) Сѣв. Вѣс. 86 წ. № 5, გვ. 129.

ფელეტონი

ოთხი დღე

მდ. ენგურის, ცხენის-წყლის და რიონის სათავეებში.

(შემდეგი*)

სოფ. ლები ვიწრო ხეობაშია გამომწყვდეული; ჩრდილოეთით მას უძევს კავკასიის დიდი ქედი, სამხრეთით მთა-გორიდამ გამომავალი ქედი. სვანები სოფ. ლებს ეძახიან „კეზა"-ს, რომლის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ჩვენთვის გაუგებარია. თვითონ ლებელები კი თავის სოფელს „ლებს" ეძახიან. „ლება" სვანური სიტყვაა და ჰნიშნავს „როფს". სოფლების ასეთს სახელებს დღესაც შეჰხვდებით ორთავე სვანეთში; მაგალითად, სადადიანო სვანეთში ლაშხეთის საზოგადოებაში ერთი პატარა სოფელი მდ. ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირზე იწოდება „ლევბ"-ად; თავისუფალ სვანეთში მულახის საზოგადოებაში არის სოფელი „ლევბრა" (როფის მომსგავსო); საბატონო სვანეთს ეცერის საზოგადოებაში «ლევბალდ» (პატარა როფი). ერთის სიტყვით, სადაც სოფელი ვიწრო და ორის მხრით შემოზღუდულს ხევში მოჰყოლია, იქ სვანებს „ლები", ან, უფრო სწორედ, „ლევბ"-ი დაურქმევია. სახელ-წოდება „ლები", სხვათა შორის, საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ახლანდელ ლებელების წინაპარნი სვანები ყოფილან და სვანური ენა ჰქონიათ სალაპარაკო ენად. ლები ერთად-ერთი მაგალითი როდია სოფელთა სვანურად სახელ-წოდებისა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში; ლებზე სამ ვერსტზე დაშორებული სოფ. „ჰიორა" (სვანურად—ჰივერ—გაჰირვებული, ღარიბი), სოფ. „გლოლა" (სვანურად გოლა—დაფერდება), სოფ. «უწერა», „ურავი", „ლიხეთი" და სხვა სახელები სვანური გვგონია. რაჭას რომ თავი დავანებოთ და ლეჩხუმის მაზრაში გადავიდეთ, იქაც შევხვდებით სოფლების სვანურ სახელებს. ჩვენის აზრით, თვით მაზრის სახელ-წოდება „ლეჩხუმი"-ც სვანური სიტყვაა; სვანები ამბობენ „ლაჩხუმ", რაიც ქართულად ნიშნავს „უბალახო ადგილს". სვანეთთან შედარებით, ეს სახელი მართლა რომ უსაფუძვლო არ არის. სოფლები ლეჩხუმის მაზრაში: „ცაგერი" (ცაგიერ—ეკლიანი ადგილი), «ლუხვანო» (სვანური უხვან—მთაგორიანი ადგილი მრისხანე სახისა), „ლაცორია" (ლაცვრია—მისატოვებელი ადგილი), „სურმუში" (ერთობ თოვლიანი ადგილი), „მახაში" და სხვა, ჩვენის აზრით, სვანური სახელებია.

ზემოდ მოყვანილის სოფლების სახელები რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სვანეთის ძველი სამზღვრები ბევრად შორს ყოფილა, ვიდრე დღეს ვხედავთ. ამასვე ვხედავთ სვანეთის დასავლეთ და ჩრდილოეთის მხარესაც. სვანეთის დასავლეთ სოფელ ლახამულიდამ სამეგრელოს სამზღვრამდე 60-70 ვერსტი სიგრძე იქნება მდ. ენგურის ჩაყოლებაზე. როგორც ეს ხეობა, სადაც ძველად სოფლები ყოფილა გაშენებული, ისე მის აქეთ-იქით ჩაყოლებული მთა-ტყე საბალახო ძველადაც და ახლაც სვანეთისა ყოფილა.

აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში ერთი ხეობაა, ესრედ-წოდებული „დალ"-ის*) ხეობა, რომელიც ბუნებას ყოველის გვარის სიუხვით აუვსია. აფხაზების გარდასახლებამდე ეს ხეობა მარლანიების, თუ მარშანიების საკუთრება ყოფილა; მათ შემდეგ ამ ხეობაში დასახლებულან ხან მეგრელები, ხან რუსები. 1878 წელს კი, რა წელსაც ჩვენ დალის ახლო მთებზე დავდიოდით, აქ ესახლა ერთი რუსის ოჯახი და ძალიან მდიდრადაც სცხოვრებდა. ჩუბეხევის საზოგადოებაში სოფ. ცალერს არის ერთი გვარეულობა—გვარმიანები. გვარმიანები დღესაც დარწმუნებით ამბობენ, რომ ჩვენი წინაპრები დალის ხეობითგან ყოფილან გადმოსახლებულნიო.

ჩრდილოეთის მხრივ,—როგორც მკითხველს მოეხსენება,—სვანეთს კავკასიის დიდი ქედი უძევს. ჩვენ ვიცით, რომ ამ ქედის ჩრდილოეთის კალთები, რომლის ახლო ადგილები დღეს ჩეგემის, ბახსანის (ურუსბიევის) და ყარაჩის საზოგადოებათ უჭირავთ, ჩვენს დრომდე სვანეთის კუთვნილებას შეადგენდა და დაბეგრილი იყო სვანების მიერ. მაგალითად, ჩეგემის საზოგადოება ყოველ-წლივ იხდიდა 12 ვერძს მულახის საზოგადოების სასარგებლოდ, ბახსანი და ყარაჩა აძლევდა ბეგარას, ან საბალახოს საბატონო სვანებს, ან მათ ბატონებს. ქრისტიანობის ნაშთნი, რომელსაც დღეს მოგზაურნი პოულობენ ჩეგემის, ბახსანის და ყარაჩის არე-მარეში, ამტკიცებენ, რომ აწინდელ მკიდრთა წინედ აქ უცხოვრია ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელს ხალხს და, ჰფიქრობენ, რომ ეს ხალხი ოსები უნდა ყოფილიყვნენო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ოსები კი არა, სვანები უნდა ყოფილიყვნენ ამ ადგილებზე, რომელნიც გადასახლებულან სვანეთში მხოლოდ მაშინ, როდესაც ისლამის აღმსარებლებმა ახლანდელ მცხოვრებლების წინაპართა ძალა დაატანეს და ან თავის ნებით გამოექცნენ თვით ისლამის აღსარებას.

ამ ნაირად თუ ჩვენ მიერ ნაჩვენები ძველი სამზღვრები სვანეთისა მარ

---

*) იხ. „ივერია" № 262.

*) „დალ" სვანურად ჯერ ერთი ნიშნავს კლდეებში მცხოვრებ მთიურს ქალს და მეორე დედოფალას, თოჯას (кукла). დალის ხეობა ამ მნიშვნელობით არის სახელ-წოდებული. ავტ.

ახალი ამბავი

⁂ ბათუმიდამ გვწერენ: მკითხველებს მოეხსენებათ, რომ როტშილდმა დიდი საქმე დაიწყო ბათუმში. ეს დიდი საქმე ნავთის მრეწველობის საქმეა. ოთხმა მილიონმა ფულმა უნდა იტრიალოს ჩვენში! ამ საქმეში უფრო ის არის საინტერესო, რომ საქმის მმართველებად ჩვენებურები არიან. ეს პირველი ნაბიჯია ჩვენში, რომ დიდს საეჭრო საქმეს ხელი მოჰკიდა ქართველმა. ეს საქმე ჩვენც და ყველა უცხოელებსაც აშკარად დაანახვებს, გვაქვს ჩვენ, ქართველებს, ვაჭრული ალღო, საკომერციო ფხა, თუ არა. ეს საქმე ძალიან დიდი და ძნელი გამოსაცდელი გაკვეთილია ქართველებისთვის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნნი ერისთავი და ორბელიანი ამ საქმეს სრულის სიდარბაისლით და ენერგიით მოჰკიდებენ ხელსა და დაანახვებენ საზოგადოდ მთელს სოვდაგრობას, რომ ქართველებსაც შესძლებიათ სოვდაგრობა. მაშ გულ-წრფელად ვისურვებ, რომ ქართველებშიაც გამრავლდნენ ქართველი სოვდაგრები, რომელნიც ქართველთა სახელოვანს გუთნის-დედასთან ერთად განაკარგებენ ჩვენს ეკონომიურს კეთილ-დღეობას. ხოლო ყველამ იცის, რომ ეკონომიურს კეთილ-დღეობაზედ დამოკიდებულია გონებრივი და ზნეობრივი სიკეთეცა.

⁂ ბათუმიდამვე გვწერენ: ბათუმში მუშაობა სპარსელების და ურიების ხელშია ჩავარდნილი. ჩვენი ქართველობა აქაურს სამუშაოებში ნაკლებად არის. ბევრი ჩვენი ქართველები ითხოვენ ადგილს ნავთის ქარხანაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველას უარს ეუბნებიან ახალი მმართველები საქმისა. უეჭველია, ჩვენ გაჭირებულს ხალხსაც იქონიებენ ახალი მმართველები სახეში. „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო.“

⁂ 24 ნოემბერს მოვიდა განჩინება უწმინდესის სინოდისა შესახებ იმისა, რომ ბორჯომის ბლაღოჩინს მღვდელს მამა სიმონოვს ებოძა ხარისხი არხიმანდრიტისა ამ განჩინების ძალით, მამა სიმონოვი საბერო სქემას შეიმოსავს პარასკევს, 5 ქრისტიშობისთვეს, კვირას აკურთხებენ არხიმანდრიტად და ორშაბათს ჩაიბარებს თავის თანამდებობას. ამასთანავე მ. სიმონოვი დანიშნულია წინამძღვრად დავით გარესჯის მონასტრისა.

⁂ გიორგობისთვის დამლევს გენერალურმა გამმგეებელმა კამისიამ იოანნე ნათლის მცემლის უდაბნოს მონასტერს, ამავე უდაბნოს წინამძღვრის მამა არხიმ. მაკარის დასწრებით, დაუმტკიცა მამული, სივრცით 3475 დესიატინა.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ხუთ კლასიანის საბაღოსნო სკოლისა.

⁂ კარგა ხანია, რაც ჩვენი ქალაქის გამგეობა სცდილობდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებას დაეარსებინა ორი მცირე რკინის გზის სადგური «არსენალი» და „ნავთლუღი“. ახლა, როგორც გვატყობინებს „ნოვოე ობოზრენიე“, ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ ფული გადაიდოს ამ სადგურების ასაშენებლადაო და რკინის გზის საზოგადოება მალე გამოუგზავნის ბრძანებას აქაურ გამგეობას ამის თაობაზეო.

⁂ იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ჩვენის ქალაქის გამგეობა შეიტანს საქალაქო საბჭოში მოხსენებას მამულების ახალად დაფასების გამო. ეს დაფასება მოხდა 1885 წლის აღწერის შემდეგ და აპირობენო, რომ ახალი დაფასების სია ამ 1887 წ. 1 იანვრიდამ მოქმედებაში შევიდესო.

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ქალაქის ინჟინრის მეცადინეობით, ყველა პოლიციებში შემოიღებენ კერძო წიგნებს, რომელშიაც ჩაიწერება ოქმნი იმისი, თუ რომელმამე სახლის პატრონმა შენებისა და სანიტარული წესდება დაარღვიაო.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ რომ კვირას, 7 დეკემბერს ტფილისის კრუჟოკში იქნება სატანციო საღამო საქველ-მოქმედო აზრით.

⁂ დღეს, 5 დეკემბერს, კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებაში ბ-ნი პროცენკო წაიკითხავს მოხსენებას იმის თაობაზე, — თუ რამდენად სასარგებლო იქმნება სახელმწიფოსათვის «ამუ-დარიის მიმდინარეობა რომ კასპიის ზღვისკენ იქმნას მიმართული.»

⁂ 4 დეკემბრის ღამეს ავჭალის შეჩაზედ, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად ცნობისანი ჯარის-კაცი მუსტაფა იზმაილოვი დასცემია სპარსეთის ქვეშევრდომსა ალექსი მუგდუსა ოჰანეზოვს, წაურთმევია ვერცხლის საათი და სამ ალაგასაც დაუჭრია. ავაზაკი პოლიციელ მიხაევიჩს დაუპატიმრებია. დაჭრილი ტფილისის სამკურნალოში გაუგზავნიათ.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელის ფელეტონის მეოთხე სვეტში პირველს გვერდზედ დაბეჭდილია: არა-რა კაცებური არ უნდა ეცნოებოდეს. ამის მაგიერ უნდა: არა-რა კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს.

მეორე გვერდის მესამე სვეტში დაბეჭდილია: „საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილისა თუ ტირილისა თავისის თილისმითა ჰქმნიდეს ხატს ესტეტიურის გრძნობის გამოსაწვევად.“ ამის მაგიერ ასე უნდა იყოს: „საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება სიცილისა, თუ ტირილის ხატს თავისის თილისმითა ჰქმნიდეს ესტეტიურის გრძნობის გამოსაწვევად.“

მესამე გვერდზედ, მეორე სვეტში დაბეჭდილია: კლდეზედ გადასახეჩებს უფრო ირჩევს. ამის მაგიერ უნდა: კლდეზედ გადაჩეხას; და იქავ: პირობა მიეც. ამის მაგიერ უნდა იყოს: პირობა მივეც.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ლარის-ხევი (იმერეთი), 1 დეკემბერს. საზოგადოდ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იმერეთში, რაც უფრო დრო გადის, იმდენი უფრო მეტი მამა შვილს აღარ ინდობს, შვილი-მამას, ნათესავი-ნათესავს და მით უმეტესს ერთი გვარის კაცი მეორე გვარისას. უმეტესს ნაწილს ფული ღმერთად გაუხდია და კაცის სიცოცხლე-კი აღარაფრად მიაჩნია. ამის დასამტკიცებელი მაგალითი ბევრია ჩვენში. ყველა იმას სცდილობს, რომ როგორც იქნება და რითაც-კი შეიძლება სხვაზე მეტი სიმდიდრე შეიძინოს. ისე გაუქვავებია გული იმერლებისათვის ორის გროშის გამორჩენის სურვილსა, რომ თვით საზარელ საქმესაც-კი აღარ ერიდებიან. ვინ იტყვის, რომ ხალხი და ქვეყანა სარჩოს შეძენას არ უნდა ცდილობდეს, ვინ იტყვის, რომ ყველა გამორჩენასა და ხეირს არ უნდა ეტანებოდეს, მაგრამ ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკუთარის სარგებლობისათვის არ უნდა ვივიწყებდეთ კანონსა და სამართალსა, სხვის ცოდვაში არ უნდა ვსდგებოდეთ და გადაჭარბებულის ვერცხლ მოყვარეობით მეზობლის სისხლს არ უნდა ვსვამდეთ.

სოფელ ლარის-ხევში სცხოვრობენ კამკამიძეები, იგივე ბასილაშვილები, და დეკანოიძეები. ამ ორ გვარს შუა დიდი მტრობა და შურის ძიება ჰსუფევს. შურის ძიებით დეკანოიძეების მოგვარემ, ძმებმა ოქროპირ და არსენამ და მათმა ძმის წულმა პაპუნიამ, ამ ორის წლის წინად მოუსპეს სიცოცხლე არჩილ კამკამიძეს. ამ სოფელში ხშირად გაიგონებთ, რომ ერთმა გვარის კაცმა მეორე გვარის კაცის სამშლვარი არ დაინდოვო, ამან იმას გზაზედ გავლის ნება არ მისცა, ამან ტყე გაუოხრა იმასაო და სხვანი. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა შედეგი ექნება ამისთანა მოქმედებას. ცემა-ტყეპა ერთმანერთისა ხშირი ამბავია აქა. სასოფლო კანცელარიაში რომ მიბრძანდეთ, სულ იმაზე არის ლაპარაკი და მსჯელობა, რისთვის გაულახავს ამ კაცს ეს კაციო; რისთვის უძალავნია ამასაო, რა დააშავა განა იმან, რომ ასე მოექცა სახლი-კაცი და ასე ამ გვარად. მერე რა არის ყოველივე ამის მიზეზი? ხშირად მხოლოდ ერთი ტკაველი მიწა და სხვა არა-რა. ერთმანეთში რომ გასაყოფი გაჩნდება რამე, დაბოლოვებას ვერ მისცემენ. სახელმწიფო, ან თვით სასოფლო საქმე იქნება კიდევ და, ერთმანეთს მისჩერებიან. არავის არ უნდა საქმეს ხელი მოჰკიდოს და გააკეთოს.

ბრძანება მოვიდა ამას წინად, რომ ეკკლესიის ეზო წმინდად იყოს შენახულიო. რასაკვირველია, სიწმინდის დასაცველად ეკკლესიის გარეშემო სოფელს უნდა შემოეღობა ისე, რომ შიგ პირუტყვი და საქონელი არ შესულიყო. ამ საქმეზე მამასახლისმა არა ერთჯელ შეჰყარა სოფელი, მაგრამ ერთმანერთის უთანხმოებით დღესაც უგალავნოდ არის ეკკლესია. ამ გვარად მარტო ორ გვარ შუა კი არ არის ჩამოვარდნილი განხეთქილება, არამედ ერთსა და იმავე გვარშიაც და თითქმის თითოეულ ოჯახშიაც-კი უსიამოვნება ჰსუფევს: მამა შვილთან აღარა დგება, შვილი მამასთან, ძმა ძმასთან და სხვანი.

ყოველ-გვარ სიკეთესთან, ერთი ბედნიერებაც ზედ დაგვერთო. ლარის-ხევში ხურევაა გახშირებული. ამ სენს რუსები „ტიფს“ ეძახიან. თუმცა ჯერ არავინ უმსხვერპლია, მაგრამ მცხოვრებლები-კი მაინც დიდ გაჭირვებაში არიან. შიშით გარედ ვერ გამოდიან და მუშაობისთვის გული ვეღარ დაუდვიათ.

ამ ჟამად აქეთ კარგი ამინდები დაიწყო; ეხლანდელი დღეები თითქმის ზაფხულის დღეებსა ჰგავს, თუმცა ღამ-ღამე კი ცივა და საკმაოდ ჰყინავს.

დ. ბასილაშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპის განათლებულის საზოგადოების ყურადღება მიიქცია ამ ჟამად ერთმა ავსტრიელმა სწავლულმა მაქსმა ნორდაუმ. მისი თხზულებანი ასი-ათასობით იბეჭდება და ვრცელდება მკითხველთა შორის. ეს გარემოება მით უფრო

თალი გამოდგა, მაშინ სტრაბონის სიტყვები, რომ სვანეთს მის დროს 200,000 მეომარი გამოჰყავდაო, რამოდენადმე ჰკარგავს ზღაპრულს ხასიათსა.

მივუბრუნდეთ ისევ ლებს და ლებელებს. ბ-ნ რადდეს გამოკვლევით სოფ. ლები 4397 ф. სიმაღლეზე სდევს, მესტია კი — თავისუფალ სვანეთში — 4626 ფ.-ზე. აქედამ სჩანს, რომ ლებს მესტიაზე უფრო დაბალი მდებარეობა აქვს და, მაშასადამე, პირველი უფრო ბარი ადგილიც უნდა იყოს. ხოლო საქმით კი სხვას ვხედავთ: მაგალითად, მესტიაში სხვათა შორის ხარობს ნიგვზის ხე, რომელსაც თბილი ჰავა უნდა და ლებში კი ეს ხე არსად მოიპოვება. კიდევ სხვა საბუთებიც არის, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მესტია უფრო ბარი ადგილია, ვიდრე ლები, და უეჭველია, რომ ბ-ნი რადდე სცდება სიმაღლის გამოანგარიშებაში.

ლებში მოდის ქერი, ქუბა და დიკა. ამ დროს როდესაც ჩვენ აქ მივედით, მკა დაწყებული იყო და ყანები ოქროს ფერად ბიბინებდნენ. მეორე დღეს, 26-ს ივლისს, კვირა დღე იყო. მაზრის უფროსს ხალხი დაბარებული ჰყვანდა სოფლის მოხელეების ამოსარჩევად. ეს ამბავი ძრიელ მიამა, რადგან შემთხვევა მეძლეოდა, მენახა ყრილობა და მის ყოფა-ქცევა არჩევანების დროს. ხალხი დილიდამვე მოდიოდა და იყრიდა თავს ჯვარის ყანაში, სადაც სასოფ. „კანცელარიაც“ დგას. წირვის დროს ზოგი ხალხი ეკკლესიაში წავიდა, რომელიც იმავე ჯვარის ყანაშია აშენებული. ეკკლესია, მაცხოვრის სახელზეა, ძველია ახლად განახლებული.

უშკულში გაგონილი მქონდა, რომ ძველის საყდრის კარებთან მებეგრე უშკულელების საჯდომი ქვები იყოვო. ეს ქვები ახალის ეკკლესიისათვის მოუხმარებიათ. ეკკლესია მაინცა-დამაინც ბევრით არაფრით არის შესანიშნავი; კარგად მოზრდილია და წირვის დროს ბევრი ცარიელი ადგილი იყო დარჩენილი. ეტყობა, არც ლებელები ეტანებიან ეკკლესიაში სიარულს. როცა წირვა გამოვიდა, ხალხმა „კანცელარიისკენ“ გასწია. წინ მიუძღოდათ მაზრის უფროსი. ხანგრძლივი ყაყანი ასტეხა მამასახლისის ამორჩევამ; ძველს სცვლიდნენ და ამის მაგიერად ირჩევდენ მონადირე გიო ლომჯანიძეს, რომელიც პირველად ძლიერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს კი მაინც დაიყოლიეს. ყრილობაში 200 კაცი იქმნებოდა. როდესაც ყრილობას, მის ქცევას ვუყურებდი, ისე მეგონა, რომ სვანეთის რომელსამე ყრილობაზე ვარ მეთქი. შეიარაღებული, შავ-გვრემანნი ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, რკინის ფერნი ვაჟ-კაცნი, მაღლა ლაპარაკ-ყაყანი, უცებ წაკიდებ-მორიგება, — ყველა ამას რომ ვხედავდი, სვანების ყრილობის ნამდვილი სურათი წარმომიდგა თვალ-წინ.

არჩევანის შემდეგ, ნაცნობებს ვსთხოვე ქალების სიმღერა-ფერხული ეჩვენებინათ ჩემთვის. ბევრი ხვეწნა დაგვჭირდა, მინამ ქალებს დავიყოლიებდით. მე მსურდა, აქაურების და სვანების სიმღერის კილო და ფეხი შემედარებინა. ამასთანავე მინდოდა შემეტყო: იციან ლებში რომელიმე სვანური სიმღერა, თუ არა? სვანებისა და ლებელების საერთო სიმღერა მარტო ერთი გავიგონე აქ, სახელდობრ, „უშკულა ხევი დაიძრა“. ამ სიმღერაში ნაამბობია, სვანები როგორ შეესივნენ ზემო-რაჭას და შესაძლოა, ეს ამბავი ისტორიულადაც ნამდვილი იყოს. ისტორიიდამ *) ვიცით, რომ სვანები ორჯელ დასცემიან ქუთაისს და ერთხელ კიდეც გადუწვავთ: მე-XI საუკუნეში მეფე გიორგის დროს და XIV საუკუნეში ბაგრატ დიდის დროს. შესაძლებელია, რომ სვანებმა, ქუთაისში როდესაც მიდიოდნენ, რაჭაზე გაიარეს და ეს შემთხვევა არის გამოხატული სიმღერაში, რომელიც ქვემოდ იქმნება მოყვანილი.

თვით ფეხის ხმარება ფერხულის დროს ცოტათი ჰგავს სვანურს, განსხვავება უფრო მეტია. აქ მარტო ერთ ნაირი ფეხის ხმარება სცოდნიათ ყოველს სიმღერის დროს, სვანეთში-კი მეტადრე უშკულის საზოგადოებაში, რომელიც განთქმულია მთელს სვანეთში თავისის სიმღერა-ფერხულით, სხვა-და-სხვა ნაირი ფეხის ხმარება იციან; მაგალითად, სიმღერა «რაჟქნა» სხვა ნაირ ფეხის ხმარებას თხოულობს, „თარაყულ“, „კვიცი მურგველ“, „დიდება თარინგლეზელარ“, „დიდება ლაგრია უშგვლაშოს“, „ყაისირა“ და სხვას სხვა ნაირი ფეხი უნდა.

მომყავს აქავე სიმღერა «უშკულა ხევი დაიძრა» შეუცვლელად, როგორათაც შენახულა იგი ლებში და უშკულში, თუმცა უშკულის საზოგადოებაში, სადაც სვანურად ლაპარაკობენ, მრავალი შეცდომებია სიმღერაში ენის შესახებ.

უშკულა ხევი დაიძრა.

ლებში

ოსი მკრა ცა და ქვეყანა.
ეს ეცერი და უშკული 1)
შეიქნა დიდი ჯარია.
მათ რომ აბჯარი ჩაიცვეს,
არ მოშორდება თვალია.
რეხის 2) წყალზე რომ ქვა დასხდენ,
თითო ფარფალი 3) დალიეს,
მათ იზიარეს თავიო.
ზრილი 4) ჭალას რომ დგვიდენ,
მიწას დაასხეს ზარიო.
თევრეშო კარგი სოფელი,
გარ გვეყაროთ მხარიო.
ხოლის 5) თავზე რომ მოვიდენ,
მაცხოვარსა (ლების) კი მიართვეს
რქა თეთრი ქერა ხარიო.
დედა ღვთისას (უშკულის) მიართვეს
რქა დახვეული ვერძია.
ჭიორა 6) კაი სოფელი
დავლა (?) ქალაქის კარია;
ზემოთა კარსა მიადგა
შავი სვანისა ჯარია,

---

*) დიმ. ბაქრაძე, Записки Кав. геогр. общ. кн. VI, 1864 წ.

1) ეცერი თავ. დადიშქელიანების საყმოა; უშკული საზოგადოებაა თავისუფალ სვანეთში.

2) რეხის წყალი ლების დასავლეთით არის.

3) სასმელის ჭურჭელი, ჭიქა.

4) ლების ახლოა.

5) ლების ახლოა.

6) სოფ. ლებს ქვემოთაა.

საკვირველია, რომ ნორდაუს ნაწერები და სწავლა-მოძღვრება ისეთი ადვილი და საყოველთაო საკითხავი არ არის, როგორც რომანი და მოთხრობა, არამედ მეტად თავისებური მსჯელობაა დამჯდარის და ბრძენის კაცისა. ნორდაუ სჯის და ლაპარაკობს, როგორც ფილოსოფოსი, ცხოვრების სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნებზედ: სარწმუნოებაზედ, პოლიტიკაზედ, ერზედ, ენაზედ, მწერლობაზედ, პოეზიაზედ და სხვა მრავალ ამ გვარ საგნებზედ.

სხვათა-შორის უფრო საყურადღებოა აზრი ნორდაუსი იმ ურთი ერთობაზედ, რომელიც არსებობს გენიოსს კაცსა და საზოგადოების შორის.

> ყველას გაეგონება ის უცნაური მოვლენა ადამიანის ბუნებისა, რომელსაც „ჰიპნოტობა“ ეწოდება. ჰიპნოტიკოსი აძინებს ადამიანს თავის ზედ-გავლენით და მერე შეუძლიან, რა აზრიც უნდა, ის შთააგონოს მძინარე ადამიანს. მძინარე ადამიანი ემორჩილება ჰიპნოტიკოსის შთაგონებას და არა თუ მაშინვე მოქმედობს შთაგონებულის აზრის შესასრულებლად, არამედ ხან-და-ხან, ჰიპნოტიკოსის სურვილისამებრ, რამდენისამე თვის შემდეგაც კი ასრულებს ნებას შთამგონებელისას.

მაგრამ ამასთანავე მკითხველს ისიც გაეგონება, რომ ამ გვარს შთაგონებას უფრო ის ემორჩილება, ვინც სუსტია აგებულებითა. ჯან-საღი ადამიანი აგრე ადვილად არ ითვისებს ჰიპნოტიკოსის შთაგონებულს აზრს. გონიერსა, ჯანმრთელსა და მაგარის აგებულების კაცს ვერა ჰიპნოტიკოსი ვერ შთააგონებს, რომ შენ ესა და ეს კაცი ხარო, როდესაც ის სულ სხვა არის; ვერ შთააგონებს რომ შენ ღვინოსა სვამო, როდესაც ის ნამდვილად მხოლოდ წყალსა სვამს, თუმცა ასეთი კაციც-კი, ცოტად თუ ბევრად, ემორჩილება ჰიპნოტიკოსის შთაგონებას.

ნორდაუ ამბობს,

> რომ ტვინი და გონება ერთის ადამიანისა მოქმედობს მეორეს ტვინსა და გონებაზედაო; და რამდენადაც უფრო ძლიერია გონება ერთისა და სუსტია ტვინი მეორესი, მით უფრო ძლიერია ეს ზედ-მოქმედებაო. როგორც ჰიპნოტიკოსი სდგას აგებულებით სუსტის ადამიანის წინაშე და სცდილობს შთააგონოს, რაც ჰსურსო, ისე რამდენიმე გამოჩენილი და დიდის გონების პატრონნი სდგანან კაცობრიობის წინაშე და ამცნევენ ერს თავიანთ აზრებსა და გრძნობებსაო. ტუვექმნილი ერიც, წინააღმდეგობისათვის ულონო და უსახსრო, ითვისებს დიდის კაცების შთაგონებულსა და ისე მოქმედობს, როგორც იმათი ნებააო. თუ გენიოსნი კეთილნი და სათნოებით სავსენი არიან, ერიც კეთილს გზას ადგება, თუ არა და ბოროტების გზით დაიწყებს სიარულსაო. კონფუციოსმა გადააქცია თავისი ერი ლაჩრებადა და ნაპოლეონ I-მა კი—მეომარ და ძლევა-მოსილ ერადაო.

ამის შემდეგ მეტი-ღაა ლაპარაკი იმაზედ, რომ, ვითომ ამა-და-ამ ერს დასაწყისიდამვე საზოგადო ხასიათი ასეთი-და-ისეთი აქვსო.

> ეს ხასიათი ერისა იცვლება ისევე, როგორც თაობა და მოდგმაო. წინა თაობის ნემენცები სულ სხვა ნაირები იყვნენ, ვიდრე ეხლა არიანო. ინგლისელები ამ საუკუნეს დამდეგს მეტად გარყვნილნი იყვნენ ზნეობით: ლოთობდნენ, ილანძღებოდნენ და თავი მოსწონდათ თავიანთის ბიწიერებითა და ეხლა კი მეტად ფხიზელნი და მართებულნი არიანო.

მართალია, ამას ამბობს ნორდაუ, მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ხშირად გენიოსის ძლიერს გონებას იმორჩილებს შეერთებული გონება, აზრი და გრძნობა უმეტესობისა. ბევრსა სცდილობს მაშინ გენიოსი კაცი, ეწინააღმდეგოს ერის სურვილს, მაგრამ მისი ცდა ამაოდ რჩებაო.

⁂

იმის გარდა, რომ ერის გონებაზე ძრიელ მოქმედობს გენიოსი და სახელ-განთქმული მეომარი და მოთავე კაცი, ბევრი სხვა გარემოებაც დაიმორჩილებს ხოლმე უმრავლესობის ჭკუა-გონებას. დიდი და ძლიერი გავლენა აქვს ერზე ზოგიერთს სრულიად გარეგანსა და საფათერაკო მოვლენასაც: მაგალითად, საშინელს ომიანობას, საერთო სიმშილს, ჭირსა და ჟამს, ხოლერას და მებრვე სხვათა. რუსეთში ბოლგარიის ამბებმა ძრიელ იმოქმედა საზოგადოებაზე. ამას წინად ამ ამბების გამო ერთს კიეველს ვაჭარს ისე შეერყა გონება, რომ თავისი თავი ბოლგარიის ნამთავრალ ბატტენბერგად დასახა. გუშინდელს ნომერში კიდევ ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი ერთის ოდესელისა, რომელიც პოლიტიკის გამოვე ჭკუიდამ შეიშალა. დღეს კიდევ გაზეთები მოგვითხრობენ ახირებულს ამბავს მეორე ოდესელისას,

> რომელიც ძალიან სუფთად იყო ჩაცმული. ესე 30 წლისა იქმნებოდაო. ეს უცნაური კაცი ჩაჯდა თურმე ეტლში და უბრძანა ცხენების გამრეკავს: გასწი ჩქარაო. გზაზე სულ ამას იძახდა: აიგერა კალნოკიცაო, ძლივს არ ვიპოვნეო. გასწი, ძმობილო, გაუჯავრდი ცხენებს, საჩუქარს მიიღებო. ანუ კიდევ: «გააჩქარე პატარა, აიგერა სალისბერი აიმ ქუჩაში მიიპარება და უნდა ხელიდამ წამივიდესო», და სხვანი. მივა თურმე ერთს ქუჩაში, ჩამოხტება ეტლიდამ, დაიწყობს წინ და უკან სირბილს ბულვარზე, თითქო ვიღასაც დაეძებსო, მერე ჩაჯდება ისევ ეტლში და ეუბნება მეეტლეს, გასწი, გაუჯავრდი ცხენებსაო. ბოლოს გაუჭირდა საქმე მეეტლეს.
>
> — „ახლა, ბატონო, როდის დაბრუნდები შენს ბინაზეო, უთხრა თურმე იმან. მოვკალი ცხენი, ამაზე მეტი აღარ შეუძლიან და შენ კი სულ გასწი და გასწის იძახი... სადღა წავიდე, ერთი მითხარი. მგონი ყველა ქუჩები მოვიარე.
>
> — გასწი იქ, საცა ევროპა საპოლიტიკო საქმეებზედა სჯისო, ბრძანა თურმე ახირებულმა ოდესელმა:— «ვენგრიის დელეგაციაში გასწი... გესმის, თუ არა!»

გაშტერებულმა და გაოგნებულმა მეეტლემ იარა და თავისი ბატონი, დელეგაციის მაგიერ, პოლიციაში-კი მიიყვანა. პოლიციის ექიმმა საცოდავი დაუყოვნებლივ საგიჟეთში გაჰგზავნაო.

⁂

კაცები გიჟდებიან, ჭკუასა ჰკარგავენ ბოლგარიის ამბების გამო და საქმეს-კი მაინც არა ეშველარა. ევროპა კვლავ იმავ გაჭირვებაშია და მშვიდობიანად გადაწყვეტის იმედი დღევანდელის აწეწილ-დაწეწილის საქმისა თითქმის არავის არა აქვს.

> მშვიდობიანად არ გათავდება, როგორც ეტყობა, დღევანდელი გამწვავებული ყოფა ევროპისაო, იმედ-გადაწყვეტით ამბობს გაზ. „С.-Петерб. Вѣд.“-ი. რაც დღეს ევროპაში ამბავია, ეგ სრულიად იმის ნიშანი არ არის, რომ ვითომ დიდის ფათერაკის აცილება უნდოდეთო. რაც იქ ამბავია, ეგ სულ მზადებაა ბრძოლისათვის: რაზმ-რაზმად აწყობენ თავიანთ ჯარებს მოკავშირენი და თითოეულს რაზმს თავ-თავის დროშას ურიგებენო.

რუსეთი

— რადგანაც საჭიროება თხოულობს საქალაქო სკოლების გამრავლებას პეტერბურგში, გადაწყვეტილია, რომ 1887 წელს გამართონ ოც-და-ხუთი ახალი სკოლა.

— 17-ამ 24 ნოემბრამდის პეტერბურგის პოლიციებში დაუტუსაღებიათ 245 მთხოვარა: 159 კაცი, 84 ქალი და 2 ყმაწვილი.

— კიევში გამოჩენილა ორი თვალთმაქცი მატყუარა, ერთი რუსი, მეორე ურია, რომელნიც ხალხს სცინცლამენ თურმე ფულებს ამ ნაირად: ურია იღებს ჯიბიდამ მანათიან ქაღალდის ფულსა და ეუბნება ხალხსა, რომ გამოცანებს ვიტყვი და ვინც გაიგებს, მანეთს მოიგებსო, და თუ ვერ გამოიცნა-კი — მანეთი უნდა მომცესო. ურია ამბობს გამოცანას; ამ დროს ხალხითგან გამოდის იმისი ფარული ამხანაგი, რუსი, რომელიც, რასაკვირველია, ხსნის გამოცანას და ურიის მანეთი ამხანაგის ჯიბეში ჩადის. ამ ნაირადვე ხსნის ხოლმე რუსი სხვა-და-სხვა გამოცანებსაც. ამ რუსის წაბაძვით ურიას სხვა მუშტრებიც უჩნდებიან და ახლა ურია იგებს ფულსა.

— პეტერბურგის შაქრის ქარხნის პატრონს კენიგს გაუიაფებია შაქარი ფუთი ერთის კაპეიკითა. ასე რომ «რაფინადი» ღირს ფუთი 5 მან. 10 კაპ., პირველის ღირსებისა 4 მან. 90 კ., მეორისა—4 მ. 70 კ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის, 3%-ით დათმობა.

— ხარკოვის მაზრაში ერთს 12-ის წლის ყმაწვილს მოუკლავს თავისი 10 წლის ამხანაგი. აი როგორ მომხდარა ეს საზარელი მკვლელობა. 12-ის წლის ყმაწვილი პაველ მთელი დღე მინდორში ძროხებს აძოვებდა თურმე. ამ დროს მოდის ამასთან იმისი 10 წლის ამხანაგი ვანო. ცოტა ხნის თამაშობის შემდეგ ყმაწვილები წაიჩხუბებიან, მაგრამ ერთი გამვლელი გლეხი ისევ შეარიგებს და ცოტაოდე გროშებს აჩუქებს. პატარა მწყემსს უნდოდა გამოერთმია თავის ამხანაგისათვის ფული, მაგრამ ვანომ არ მისცა. ამ დროს პაველმ წააქცია თურმე საწყალი ვანო, ამოიღო ჯიბიდამ კალმის დანა და გამოსჭრა ყელი. პატარა კაცის მკვლელი ისე გაანჩხლდა თურმე, რომ მკვდარ ყმაწვილის გვამსაც-კი დანითა სჭრიდა. ამის შემდეგ მკვდარი გაუცარცვავს, მოუბამს ყელზედ დიდი ქვა და გადაუგდია მდინარეში. ბოლოს დაბრუნებულა შინა და სადილის შემდეგ დაუწყვია ჩვეულებრივ ყმაწვილებთან თამაშობა. ვანოს გვამი იმავე დღეს უპოვნიათ და გამოძიება დაუნიშნავთ.

— რუსეთის მატროსებს არა ერთხელ შეუჩივლიათ მთავრობისათვის, ამბობს გაზ. „Русск. Курьеръ“-ი, რომ როდესაც ინგლისისა და რუსეთის გემები შეხვდებიან ხოლმე ერთმანერთს ზღვებზე, ინგლისის გემი ყურადღებას არ აქცევს ხოლმე რუსეთის გემის ნიშნებს და ამის გამო ხშირად ერთმანერთს ეჯახებიან და რუსეთის გემები იღუპებიანო. ამას წინად ინგლისის გემი „Принцъ Датскій“ მიეჯახა რუსეთის გემს „Батумъ“-სა და დაჰღუპაო.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Neue Freie Presse“-ს ლონდონელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ თუმცა ეხლა საფ-

---

ქმოსა კარსა გარ გადგა
შავი სისხლისა ღვარია.
ხელო და ხმალო გასჭერი,
გულო ნუ შეგეშინდება!
სისხლისა ნატალახევსა
ფესა ნუ მოგვიცურდება.
ბოცორ[7] დასჭრეს და გაიქცა,
ვით რომ დედალი ცხვარია.
ვინც რომ მელექსეს იტყვიან,
გიორგი თათრუანიო[8].

უშკულში

უშკულა კავი დაიძრა.
ეცერსა კაცი გაგზავნე:
ეცერო, თქვენი ჭირიმე,
გვასმარე თქვენი ძალია.
შეიყრა სულა სვანეთი,
შავი სვანეთის ჯვარია.
სულა სვანეთის თავია (წინამძღოლი),
თავია დედა ღმთისა (უშკულის),
დედა ღმთისა და უშგული.
ნემკას რომ გა-გავიარეთ,
ვერ მოშორდები თვალია (სვანეთის-კარს);
ბრილი ჭალაზე ქვე ჩადგა
მათი (სვანების) ულუსი ჯვარია.
დილას შევკაზმე ცხენები,
მანდილა თეთრი ჩითიდა.
თითო ფარფალი დვლიეს,
მაგრამა ტურფა შეიქმნა.
მიწას ავამღვებ ძრიელა (მძრევა).
თავ'ეში კარგი სოფელი,
თავამ ქალაქის კარია.
ხური თავზე რომ შევედი (ჯარი),
ამაგრეს ხიდი კარია;
ხიდი კარში რომ შევედი
ომი შეიქნა მძნელია;
სისხლისა ნამატალახს (ნატალახევი)
ფესი ნუ მოცურდებაო.
ყარაჯი[1] მამად გვიძახის:
უშგულა თქვენი ჭირიმე,
აწი კი არის წასვლის დრო,
მეტად გვიქნია ძნიანი (ზიანი),
მაცხოვარი (ლების) ჩვენიც არის,
ნახევარი ლებას არის.
უშკულა თქვენი ჭირიმე (ლები ეხვეწება),
ნუ გაგვიწყვიტე ხალხიო,
გვემართოს თქვენი ბეგარა
რქა თეთრი ქრა ხარიო.
ალხიძესა ემართოს (უშკული ამბობს)
რქა დახვეული ვერძია,
ეს მაცხოვარსა (ლებას) შევსწიროთ,
არა გვიწყინოს ზიანი.
ჭიორა გაუტეხელი,
ზედა დარბაზში ჩავიდე (ჩავედით);
ქვეითი კარსა გავიდა
წითელი სისხლი ღვარათა.
გვემართოს თქვენი ბეგარა (ჭიოცაძეს)
წელიწადში ორ გაბიწი[2].
ნარაი[3] ხიდი გაგვიტუდა,
ორასი კაცი დაგვერჩვი (სვანები)
პეტრე-პავლობას დღესაო.
ბოყოს[4] მიადგა ჯვარიო (სვანას),
ბევრი ქალ ტირე ბავშვებო.
ჯაფარიძემ დაგვიძახა:
უშგულა, თქვენი ჭირიმე,
გვემართოს თქვენი ბეგარა
წელიწადში ოთხ მარჩილი.
ცერი ვედენი გელასა[5]
ნეფე მიუყვდა ყურ აღმა.

უშკულის საზოგადოებაში სიმღერა „უშკულა ხევი დაიძრა“-ს მცოდნე მოხუცმა (სვანეთში სხვაგან არსად არ იციან) შემდეგი მიამბო. ძველად სოფ. ლებში ყოფილა ვინმე «ალხიძე» დიახ კარგი და შეძლებული მოსახლე, ხოლო თავის ცუდის ყოფაქცევისა გამო ყველასაგან მოძულებული. გარდა ამისა, ალხიძემ ბოლოს და ბოლოს ლების ბატონობა მოინდომა თურმე. (ლები უბატონო საზოგადოებაა.) ხალხი ამაზე გამწყრალა, ალხიძე სახელობით საზოგადოებითგან განუდევნია და მისი უძრავ-მოძრავი ქონება ხალხს თავისთვის დაუსაკუთრებია. ამდგარა ალხიძე, აუღია ერთი კვახი (გოგრა), გაუვსია მიწით, უშკულს მოსულა და აქაურ ღვთის მშობლის ეკკლესიის კარზე ჩამოუკიდნია ეს მიწით სავსე კვახი ნიშნად იმისა, რომ უშკულს შეჰვედრებია და რაღასაც შეჰხვეწნია. უშკულს შეუწყნარებია ალხიძის ვედრება და თავის მფარველობის ქვეშ მიუღია (ეს ჩვეულება ეხლაც არის). უშკული მოციქულებს ჰგზავნის ლებში და სთხოვს, ალხიძე ისევ მიიღონ; ლები ამაზე უარს ამბობს. ეს უშკულს შეურაცხყოფად ჩაუთვლია, თავი მოუყრია და დაუდგენია: ჯარით წავიდეთ ლებზეო. ამასთანავე უშკული სთხოვს დანარჩენ სვანეთის საზოგადოებათაცა, ეცერიდამ დამოკიდებული, რომ ჯარში მონაწილეობა მიიღონ. სვანეთი ასრულებს უშკულის თხოვნას. მთელის სვანეთის ჯარი მიდის ლებს, აოხრებს სოფ. თევრეშის, ლებს, ჰიორას, გლოლას, ბოყოს და კიდევ სხვა სოფლებს, ყველგან ბეგარას აღებს: ერთს სოფელს ხარს, მეორეს ძროხას, მესამეს ამდენსა და ამდენს მარჩილს და სხვა. ამ ბეგრებიდამ ლები ჩვენს დრომდე იხდიდა ხარს ყოველ-წლივ. ორი მებეგრე უშკულელი დღესაც ცოცხალნი არიან. მებეგრეთ უშკული ჰგზავნიდა ათ კაცს სამარიამობოთ. ამათ მთელი სოფელი უნდა გაჰმასპინძლებოდა. ალხიძე კი უშკულმა ვალდებული ჰყო ეძლია მებეგრეთათვის ერთი ვერძი იქვე ლების მაცხოვრის შესაწირავად, რომ მაცხოვარს „არა სწყენოდა ლების ზიანი“, რომელიც სვანეთის ჯარმა მიაყენა ალხიძის გამო...

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩვენ აქვე მოვეუთხრობთ მკითხველს რაც რამ ვიცით ლებისა და უშკულის ურთიერთობასა და მტერ-მოყვარეობაზე წარსულში. ეჭვს გარეშე გვგონია, რომ ლები და უშკული ძველად ერთმანერთს უმოყვრდებოდენ; ამისი დასამტკიცებელი საბუთი სხვათა შორის ის არის, რომ ლებსა და უშკულში ერთი მეორის ნათესაობა ჯერ კიდევ არ შემწყდარა. ისიც დარწმუნებით ვიცით, რომ ორ საზოგადოებათა შორის დრო-გამოშვებით მტრობა ჩამოვარდებოდა ხოლმე. სახელდობრ, როდის, რა წელს ჩამოვარდა პირველი მტრობა ლებსა და უშკულს შუა, ამისი დაბეჯითებით თქმა ძნელია, რადგანაც სვანები წელთ აღრიცხვას არ მისდევენ.

თავისუფალი სვანი

(დასასრული იქნება)

---

[7] კაცის სახელია.

[8] გიორგი თათრუანს ზესხვას უცხოვრია.

[1] კაცის სახელია.

[2] გაბიწი, ან გაპიწი—პურის საწყავია.

[3] ნარაი—ადგილია ოსეთში.

[4] ბოყო—სოფ. ზემო რაჭაში.

[5] გელა სვანური სახელია, ჯარის წინამძღოლი ყოფილა.

რანგეთში „სამინისტრო კრიზისია", ხოლო ეს „კრიზისი" ვერ შესცვლის საპოლიტიკო საქმეთა მდგომარეობასაო. ფელდმარშალის მოლტკეს მიერ წარმოთქმულის სიტყვის შემდეგ უფრო დიდი იმედი უნდა გვქონდეს, რომ ევროპის მშვიდობიანობა და წესიერება არ დაირღვევაო. იმედი უნდა გვქონდეს, რომ დიდი საერო კრება მოტყდება, წინააღმდეგობას თავს დაანებებს და ძალა-უნებურად ამოირჩევს სამეგრელოს თავად ნიკოლოზს ბოლგარიის მთავრად, რაკი მის მიერ დიდთა სახელმწიფოებთან გაგზავნილი დეპუტაცია დარწმუნდება, რომ სხვა გზა შველისა არ მოიძებნებაო. დიდნი სახელმწიფონი დააჯერებენ დეპუტაციას, რომ თუ გინდა სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი იყოს ბოლგარიის მთავრად, ბოლგარია არ დაჰკარგავს ყველა იმ უფლებათ, რომელიც ბერლინის ხელ-შეკრულობის ძალითა აქვს მინიჭებულიო. მაინც-და-მაინც ამ ჟამად ისეა გამწვავებული ბოლგარიის მდგომარეობა, რომ უეჭველად უნდა ამოირჩიონ თავადი ნიკოლოზი მთავრად, თუ ბოლგარიის მშვიდობიანობა უნდათ. პრინცის ალექსანდრე ბატტენბერგის ბოლგარიაში დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია იმის გამო, რომ პრინცმა თვითონვე, თავისის ნებით დაანება თავი ბოლგარიასაო. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ოსმალეთი რაიმე ღონეს იღონებს და სამეგრელოს თავად ნიკოლოზს ამოარჩევინებს მთავრად დიდს საერო კრებას ბოლგარიისას. თუ დიდი საერო კრება თავად ნიკოლოზს ამოირჩევს, თქმა არ უნდა, რომ ეს არჩევანი დიდთა სახელმწიფოთა მიერ ერთ-ხმად მოწონებული იქმნებაო.

— „კელნის გაზეთს" სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ: ცანკოვმა 21 ნოემბერს გამოუცხადა მესამე რეგენტს, რომ თანახმა ვარ შეერთებული სამინისტრო შევადგინოვო. რეგენტებმა უპასუხეს, რომ ტირნოვოში ასე გვეგონა, ევროპამ თავი მიგვანება და რუსეთი უეჭველად ჯარებს ჩააყენებს ბოლგარიაში და იმიტომა გვსურდა შეერთებულის მთავრობის შედგენა, ხოლო ეხლა უარს ვამბობთ, რომ ცანკოვის მომხრეებთან რაიმე დამოკიდებულება და მეგობრობა ვიქონიოთო. სტამბულოვს ამ ამბის გამო გამოუცხადებია კარაველოვისა და ცანკოვისათვის, რომ ნუ სცდილობთ საქმის უფრო დახლართვასა და აწეწვას, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლგარიის მთავრობა იძულებულ იქმნება აღგიკრძალოთ ბოლგარიაში ცხოვრებაო.

— ვენიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. «Yossische Zeitung»-ს: ვენის დიპლომატიურს წრეებში იმას არიან მოწადინებულნი, რომ ყოველივე ღონე იხმარონ, რათა ბოლგარიის გამწვავებულ საქმეთა გამო ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვესო.

— ბოლგარიის სამთავრო ტახტს კიდევ ახალი კანდიდატი გამოუჩნდა. ეს ახალი კანდიდატი პრინცი განს გოლშტეინ-გლუკსბურგია. გაზ. „Weser Zeitung"-ის სიტყვით, პრინცი განსი ამ ჟამად კოპენჰაგენში სცხოვრებს, დანიის გენერალია და 1825 წელს არის დაბადებული. პრინცი განსი ძმაა დანიის კოროლისა და ნათესავად მოხვდება რუსეთისა, ინგლისისა და საბერძნეთის საიმპერატორო ოჯახობათ. ამ რამდენისამე წლის წინად, საბერძნეთის კოროლის სხვაგან ყოფნის გამო, პრინცი განსი საბერძნეთის რეგენტად იქმნა დანიშნული და დიდი ნიჭი გამოიჩინა ქვეყნის მართვის საქმეშიო.

~~~~

სერბია. ნოვოსადის გაზ. „ბრანიკის" ბელგრადელი კორრესპონდენტი სწერს ამ გაზეთს: „ისეთს მდგომარეობაშია ეხლა სერბია, თითქოს აღსასრულის დრო მოსულაო. ყველა ავს და უბედურებას, რაც გარაშანინის მომხრეებმა სერბიას მიაყენეს, ისიც დაემატა, რომ კერძო და სამოქალაქო თავისუფლებას გვართმევენო. ამ თავისუფლებას ისე კი არ გვისპობენ, რომ კანონი გამოსცენ და აღგვიკრძალონ, არა, ჟანდარმები და პოლიციელნი გარაშანინის ბრძანებით ძალ-მომრეობით ეპყრობიან მოწინააღმდეგეთა დასს და მკვიდრთაო. მაგალითებრ, ამ რამდენისამე დღის წინად რუდნიკში ოცი მამა-კაცი და ოცი დედა-კაცი დაიჭირეს იმის გამო, რომ იცოდით რომ კოროლ მილანის წინააღმდეგ შეთქმულობა იყო და არ გამოაცხადეთო." კორრესპონდენტი ამბობს, რომ ეს კოროლის წინააღმდეგ შეთქმულობა განგებ არას მოგონილი გარაშანინის დასის მიერ, რომ უფრო ადვილად დაამარცხოს თავის საპოლიტიკო მოწინააღმდეგენიო. „როდის მოეღება ყველა ამას ბოლოვო, ჰკითხულობს კორრესპონდენტი. ნუ თუ ის არა კმარა, რომ სერბია ასეთს სიღარიბეშია ჩავარდნილი, დამცირებულია სერბიის სამხედრო იარაღი, დაჩაგრულია ხალხი, გარყვნილია მოხელეობა სერბიისა?.. იქნება იმედი აქვსთ, რომ დიდხანს გასტანს ასეთი მდგომარეობა ქვეყნისაო?.. ნუ დაავიწყდებათ, რომ მოთმინებასაც თავისი სამზღვარი აქვსო"...

~~~~

იტალია. იტალიის დეპუტატთა პალატაში წარუდგენიათ განსახილველად კანონ-პროექტი იმის გამო, რომ 6,250,000 მანათი გადაიდვას სამხედრო ხარჯისათვისაო. ამ ფულითგან განზრახვა აქვსთ, 500,000 მანათი მოახმარონ იმას, რომ ცხენები იყიდონ «როტის» უფროსებისთვის, 825,000 მანათისა მაგაზინის თოფები შეიძინონ, 500,000 ჯარის მოწყობას მოანდომონ, 250,000 ახალის სიმაგრეების აშენებას, 125,000 „საარტილერიო პარკის" გამართვას, 3,125,000 ფლოტის მომზადებას, და სხვ.

დეპეშა

3 დეკემბერი

პეტერბურგი. სენატის საკასაციო დეპარტამენტში შეტანილია გასარჩევად საკითხავი: შეუძლიანთ თუ არა მომრიგებელ-მოსამართლეებს კეთილ-სინდისიანად არ იცნონ ბრალდება მაშინ, როცა ბრალ-მდებლად მოხელე კაცია?

სოფია. გადბან-ეფენდიმ ნოტა გაუგზავნა ბოლგარიის მთავრობას და მოითხოვა, რომ ყველა სოფიის გაზეთები აკრძალულ იქმნენ, რადგან ეს გაზეთები პრინც ბატტენბერგის ხელ ახლად ამორჩევის მომხრენი არიან და სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობას ეწინააღმდეგებიანო.

4 დეკემბერი

ლონდონი. განზრახვა აქვსთ, რომ ის ინგლისის ჯარი, რომელიც ეგვიპტეშია ჩაყენებული მშვიდობიანობის დასაცველად, შეამცირონ და მხოლოდ ხუთი ბატალიონი-და იყოლიონ.

კოპენჰაგენი. სწორე არ არის ის გაზეთებში დაბეჭდილი ამბები, ვითომ დანიის ჯარს ამრავლებენ და ციხე-სიმაგრეთ აშენებენ უცხო სახელმწიფოთა ხარჯითაო: განზრახვა აქვსთ მხოლოდ ზოგიერთი სიმაგრენი აგონ, და რადგანაც ამისათვის საჭირო 29 მილლიონი ფული ხუთსა და შვიდს წელს იქმნება გადასახდელად განაწილებული, ამისათვის ეს საქმე ომისათვის მზადებად არ ჩაითვლებაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის.

5 დღე პარასკევი. წმ. საბა განწმენდილისა. კათ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. პეტრე ხრისოლ. სომეხ. მარხვაა. მოზდოკში დაარსეს საზოგადო ბანკი, 1874 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—22. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 11—36, ჩადის 11—28.

6 დღე შაბათი. წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მომქმედისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. ნიკოლოოზისა. სომეხ. წმ. ნიკოლოოზ საკვირველ-მოქმედისა. სახელ-წოდება მ. უმ. მემკვიდრესი ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა, ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძისა და ნიკოლოოზ მიხეილის ძისა.—დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებელად, 1862 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 12—3.

7 დღე კვირა. წმ. ეპისკ. ამბროსისა. კათოლ. მეორე კვირა ადვენტისა. სომეხ. ალების-ლამე სურბ იაკობის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—22. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32; მთვარე ამოდის 12—46, ჩადის 12—38.

8 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. სოსთენ, აპოლლოს და სხვ. კათოლ. მუცლად-ღება წმ. ანნასი, დედისა ყოვლად წმ. ქალწ. მარიამისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—51. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—34; მთვარე ამოდის 1—53, ჩადის 1—14.

9 დღე სამშაბათი. მუცლად-ღება წმ. ანნასი, დედისა წმ. ღვთის-მშობლისა. წინ.-მეტყ. სამუელ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—21. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—33; მთვარე ამოდის 2—59, ჩადის 1—47.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხასა.	6 ›
› 2 ›	5 ›

~~~~

პეტერბურგის ბირჟა, 2-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 82 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	171 მან.
5% პირველის შინაურის სესხის მომგების ბილეთი	—	—	239 მან.
— მეორისა	—	—	221 მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია"
1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 ›	5 „ . . .	5 „ 25 ›
10 „ . . .	8 „ 75 ›	4 „ . . .	4 „ 75 ›
9 „ . . .	8 „ — ›	3 „ . . .	3 „ 50 ›
8 „ . . .	7 „ 25 ›	2 „ . . .	2 „ 75 ›
7 „ . . .	6 „ 50 ›	1 „ . . .	1 „ 50 ›

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება —17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: *Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ."*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი, სხვა ქალაქის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო წვრ. სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტის.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლდება, ან შესწორებულ იქმნება. არ დაბეჭდილი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მაწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოზით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1887 ГОДЪ
НА ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"
(IV годъ изданія)
Выходитъ ежедневно, въ ТИФЛИСѢ, подъ редакціей А. В. Степанова.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА: за годъ 10 р., за полгода 6 р., за 3 мѣсяца 3 р. 50 к. и за мѣсяцъ 1 р. 50 к.
Подписка принимается и гг. иногородные адресуются: *Тифлисъ, контора редакціи „Новое Обозрѣнія", Головинскій проспектъ, домъ № 7.* (3—2)

Дозв. цена. Тиф. 4 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე
~~~~